შ.პ.ს. საპროექტო
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 130/14

L.T.D. projecting
architect-design studio
„BAZISI XXI“

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„10“ ნოემბერი. 2014წ

სამშპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. №114-ში, შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე № 01.13.05.003.006 მდებარე შენობა-ნაგებობების №18/1 და №19/1 დემონტაჟის, მათ ნაცვლად კაფე-ბარის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობების მდგრადობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. №114-ში, შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე № 01.13.05.003.006 მდებარე შენობა-ნაგებობებს №18/1-ს; №19/1-ს, მათ მომიჯნავე შენობებს №13/1-ს, 11/2-ს; შენობების №18/1 და №19/1 დემონტაჟის, მათ ნაცვლად კაფე-ბარის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობების მდგრადობის დასადგენად; ასევე განხილული იქნა ასაშენებელი ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია: არქიტექტურული ნაწილი, კონსტრუქციული ნაწილის წინასაპროექტო გადაწყვეტები და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. №114-ში, შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე № 01.13.05.003.006 მდებარე სადემონტაჟო შენობა №18/1 წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე, კონსტრუქციული სქემის მიხედვით მზიდკედლებიანი ტიპისაა. კედლები წითელი აგურისაა სისქით 40სმ, გადახურვა შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სახურავი ხის კოჭებზეა. შენობა №19/1 წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, იგი ფარდულის ტიპისაა.

საპროექტო შენობა მსუბუქი ტიპისაა; კონსტრუქციული სქემის მიხედვით ლითონის კარკასული ტიპის; ნაგებობა ორსართულიანია, სარდაფის გარეშე. საპროექტო შენობის საძირკვლები დაპროექტდება მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით, მცირე ჩაღრმავებით გრუნტში. კედლები და სახურავი გათვალისწინებულია „სენდვიჩის“ ტიპის პანელებისაგან.

საპროექტო ობიექტს:

- ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება შენობა №13/1, ნაგებობა ერთსართულიანია სარდაფის გარეშე, მსუბუქი ტიპისაა ლითონის კარკასული ტიპის, კედლები და სახურავი „სენდვიჩის“ ტიპის პანელებისაა.
- ჩრდილო–დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთის 01.13.05.003.006 შიდა ეზო, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია;
- სამხრეთ–აღმოსავლეთის მხრიდან– ესაზღვრება დ. ბაქრაძის ქუჩა, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია;
- სამხრეთ–დასავლეთის მხრიდან– ორსართულიანი (სარდაფის გარეშე) შენობა №11/2, რომელიც კონსტრუქციული სქემის მიხედვით მზიდკედლებიანი ტიპისაა. შენობა №11/2-ია საძირკვლები ლენტური ტიპისაა, მცირე ჩაღრმავებით გრუნტში.

იმისათვის, რომ, შენობა-ნაგებობების №18/1 და №19/1 სადემონტაჟო; საპროექტო შენობის მიწის (ქვაბულის ამოღების) სამუშაოებმა და საპროექტო ობიექტის მშენებლობამ არ გამოიწვიოს ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება, საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- შენობა-ნაგებობების №18/1 და №19/1 სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ხელით;
- საპროექტო შენობის ქვაბულის დამუშავებისას, გრუნტი მოჭრილი იქნას მძიმე ტექნიკის გამოყენებით, ჩრდილო–აღმოსავლეთის და სამხრეთ დასავლეთის მხარეს არსებული მომიჯნავე შენობიდან არა უმცირეს 1,5 მეტრის დაშორებით; გრუნტის დარჩენილი (მოსაჭრელი) მოცულობა დამუშავდეს ხელით;
- საპროექტო შენობის საძირკვლები მოეწყოს მცირე ჩაღრმავებით გრუნტში.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, აკაკი წერეთელის გამზ. №114-ში, შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე № 01.13.05.003.006 მდებარე შენობა-ნაგებობების №18/1 და №19/1 დემონტაჟი, მათ ნაცვლად კაფე-ბარის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოები არ გამოიწვევს ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე მომიჯნავე შენობების მდგრადობის გაუარესებას, ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი: /ი. ცერცვაძე/

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვ. ჯაფარიძე/